გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtredilsmacne @ gmall.com

# სამტრედიის მაცნე

№12 (9366) 30 ივნისი. 2022 წელი ფასი 75 თეთრი

## ნატოსა და ევროკავშირის შესახებ
2

## ინფორმაცია შრომითი უფლებების შესახებ
2

## გაიცანით კახა გალდავა — მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარდგენილი პედაგოგი!



5

10




გიორგი წიქვაძე საქართველოს ჩემპიონია



4

სამტრედიის ეტალონი მოსწავლე ნინო დავითაია

## ფრენბურთში სამტრედიის ახალგაზრდული ნაკრები პირველი ტურის გამარჯვებულია



10

## დაბა კულაშში გზა იგება



3

## ზემო ნოლაში



3

## "ჯეო ჰოსპიტალსის" საჭიროება დაუყოვნებლივ მოგვარდა



3



# თხოვნაც, გაფრთხილებაც...

ლევან ბაბეჩავა

27 ივნისს მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა დავით ბახტაძემ სამუშაო თათბირზე იხმო მისი წარმომადგენლები დაბასა და სოფლებში, მაჟორიტარები, მერიის სამსახურის უფროსები და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

შეხვედრის ძირითადი ნაწილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამების მიმდინარეობას შეეხებოდა.

აღმასრულებელი ხელისუფლების პირველმა პირმა მაჟორიტარებსა და მის წარმომადგენლებს დაბასა და სოფლებში კიდევ ერთხელ სთხოვა მეტად ნაერთიან კონკრეტული პროექტის მიმდინარეობის, სამუშაო პროცესში და თხოვნა ზღვარდაცული მკაცრი ტონით დაასრულა იგივე მოთხოვნით. შემდეგ დავით ბახტაძემ რიგ სოფლებში მიმდინარე სამუშაოების შესახებ მოისმინა ინფორმაციები და შეკრებილი მომავალ შეხვედრამდე დაგეგმილი.

ცნობისათვის: სამტრედიაში 104 პროექტი უნდა განხორციელდეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, რომლებზეც 660 000 ლარია გამოყოფილი.



# ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

ნინო ნანიტაშვილი



ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის იმერეთის ბიუროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა.

საინფორმაციო ცენტრის საქმიანობასა და მიმდინარე პროექტებზე შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა მარიკა ვაჭარაძემ მიმართა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ესაუბრა.

სამხედრო ექსპერტმა გიორგი ცხვიტავამ საქართველოსა და ნატოს ურთიერთობაზე, გაწევრიანების ეტაპებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა. ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს მონაწილეობაზე, საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების უალტერნატივობასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

გიორგი ცხვიტავამ აუდიტორიის ყურადღება რუსეთ-უკრაინის ომზეც გაამახვილა.

შეხვედრას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და იძულებით გადაადგილებული პირები ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებული პროექტის "დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში" ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საქართველოში ამერიკის საელჩოსთან ერთად ახორციელებს.





# ინფორმაცია შრომითი უფლებების შესახებ

ნინო ნანიტაშვილი

შრომის უფლებების სამართლებრივი წარსი შრომის კოდექსი, დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების დადება სამუშაო დროის ხანგრძლივობა, უსაფრთხოება და შრომის ანაზღაურება, შრომის ინსპექცია; ეს ის საკითხებია, რომელთა შესრულებაც ტრენერმა მარიკა ვაჭარაძემ სამტრედიაში კომუნალური გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებთან შეხვედრაზე ისაუბრა და მათ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

მარიკა ვაჭარაძის გამოსვლაში ხაზგასმით ითქვა, რომ მსგავსი შეხვედრების მიზანია, დასაქმებულებს ჰქონდეთ ინფორმაცია შრომითი ურთიერთობების შესახებ, რაც მათ დაიცავს მოსალოდნელი რისკებისაგან. ფაქტობრივად, ტრენინგი არის პრევენციული ღონისძიება.

მარიკა ვაჭარაძეს სასიამოვნოდ დაურჩა ინფორმაციის მიღება იმის თაობაზე, რომ შრომის უსაფრთხოების დაცვის სამსახური სამტრედიის მუნიციპალიტეტის ააიპ კომუნალურ გაერთიანებაში რამდენიმე წელია მუშაობს.



# ვიცოდეთ მეტი, რომ არ მოვტყუვდეთ

"მედია და ინფორმაციული წიგნიერება" – ამ თემაზე გამართულ ტრენინგს უმასპინძლა ამ დღეებში სამტრედიაში, მერიის საგქტო დარბაზში. ტრენერებმა საინტერესოდ და ამომწურავად ისაუბრეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ყალბი და ნამდვილი ამბავი, სად გადავამოწმოთ ინფორმაციის სანდოობა, როგორ უნდა განვასხვავოთ დეზინფორმაცია ნამდვილისაგან და ა. შ. როგორც წესი ტრენინგი დამსწრეთა ჩართულობით წარიმართა. სამ საათიანი ტრენინგის დასრულების შემდეგ მის მონაწილეებს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის, ნინო დოლიძისა და საქართველოში ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის ხელმოწერით სერტიფიკატები გადაეცათ. მადლობა ტრენერებს. დავსძენთ, რომ მსგავსი აქტივობები ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლებას.

ლევან ბაბეჩავა

# მადლობა მათ!

სოფელ ნაბაკევში, ისტორიულ ჯვარცმის მონდორზე, შესანიშნავი პარკის თაობაზე უკვე საყოველთაოდაა ცნობილი.

სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ სხენებულ ტერიტორიაზე პარკის მოწყობის ინიციატორები იყვნენ საზოგადოება "სამტრედიელის" წარმომადგენლები, თემურ ტორონჯაძე და რევაზ კანდელაკი. მათ წამოწყებას მოსახლეობა მიესალმა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის თავკაცთა ძალისხმევითა და იმდღევანდელი მერის, ბატონი კახა კალაძის თანადგომით, მიმდინარეობს პარკის მშენებლობა.

მალე კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე იქნება ხალხის, ახალგაზრდების სამსახურში.

მადლობას მოვახსენებთ საქმის ინიციატორებს და სისრულეში მომყვანთ.

ნ. ჩლიაშა, ლ. ბაშაშაძე, შ. ძართველიშვილი-ბაშაშაძე,
ი. კუპუხიძე, ბ. უღრელიძე, შ. ნინუა, ი. ხარებავა, ნ. მიძელაძე
და სხვები

# დაბა კულაშში გზა იგება



ბევრი საჭიროება აქვს ადამიანს, ეს იცის დაბა კულაშში მცხოვრებმა ჯუმბერ კაკაურიძემაც. თუმცა მათ შორის მოწესრიგებული გზა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რომაა, "სამტრედიის მაცნესთან" მის აღიარება არ უჭირს.

წარმოშობით ხონელი კაცი 39 წლის წინ დასახლდა მეგობრობის ქუჩაზე და საცხოვრებლო პირობებით ადგილობრივებს არ ჩამორჩება. ქუჩა სხვებზე ნაკლებად არ უყვარს და უბანში მიმდინარე საგზაო სამუშაოები სხვების მსგავსად მასაც ახარებს.

მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, სამტრედიაში გზების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. მონიტორინგის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ვაჟა სტურუასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, დაბა კულაშში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ასფალტ-ბეტონის გზა დაიგო მეგობრობის ქუჩის მე-8 ჩიხში, პარალელურად გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს მეგობრობის ქუჩის მე-9 ჩიხში.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ლატექსი" ასრულებს.

ნინო ნანიტაშვილი




# ზემო ნოღაში



სიმწვანეში ჩაკარგულ ზემო ნოღის აღმართებში ამიერიდან მოწესრიგებული შიდა სასოფლო გზა აიყვანს ადგილობრივებსა და სოფლის სტუმრებს. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარე სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "გზები" ასრულებს. ბეტონის საფარით გზის სავალი ნაწილი 1580 მეტრზე მოწესრიგდება. დაგებულ გზას განი 4 მეტრი ექნება. აღმორებული გზის სისქე 16 სმ-ია. შესრულებული სამუშაო 320 ათასი ლარისაა. მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან ერთად თავად ესწრებოდა მიმდინარე სამუშაოებს. "ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწესრიგება ჩვენთვის პრიორიტეტია. კლიმატური პირობების მიუხედავად, სამუშაოები გეგმა-გრაფიკის დაცვით დასრულდება. ამ გზით არა მხოლოდ ნოღისა და ზემო ნოღის, სოფელ გამოჩინებულში მცხოვრები მოსახლეობაც სარგებლობს." გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერმა წინასწარ დააანონსა კიდევ ერთი პროექტი, რომელიც წელს დაიწყება და მომავალ წელს დასრულდება. ეს გარდამავალი პროექტი, სოფელ გამოჩინებულში ჭოგნარის მიმართულებიდან ზანდის მთაზე არსებულ მამათა მონასტრამდე ბეტონის გზის დაგებას გულისხმობს.

თეა ბაბუნაშვილი



# "ჯეო ჰოსპიტალსის" საჭიროება დაუყოვნებლივ მოგვარდა

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით, სხვა არაერთთან ერთად, კოსტავას ქუჩაზე, "ჯეო ჰოსპიტალსის" მიმდებარედ ავტოსადგომისა და საფეხმავლო ბილიკის ასფალტბეტონის საფარით მოპირკეთება უკვე დასრულდა. ერთ ლოტად გამოტანილი სამუშაო, რომელიც კრავეიშვილის ქუჩის გაგრძელების, რობაქიძის ჩიხისა და მე-8 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციასაც გულისხმობს "ჯეოჰოსპიტალსის" მიმდებარე ტერიტორიასთან ერთად, 112 ათასი ლარის მოცულობისაა და მას შპს "დათა" ასრულებს.

ავტოსადგომისა და საფეხმავლო ბილიკის მოპირკეთების თხოვნით, აუცილებლობიდან გამომდინარე, "ჯეო ჰოსპიტალსის" ადმინისტრაციამ თავად მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას. მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან ერთად მიმდინარე სამუშაო პროცესს ათვალიერებდა, აცხადებდა, რომ "სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელობამ თხოვნით მოგვმართა და ჩვენც საჭიროდ ჩავთვალეთ, ეს თხოვნა დაუყოვნებლივ შეგვესრულებინა. მოგეხსენებათ, ამ ობიექტის დანიშნულება და გასაგებია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს აქ ყველანაირი ინფრასტრუქტურა გამართული იყოს."

თავის მხრივ "ჯეო ჰოსპიტალსის" მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ადმინისტრაციული მენეჯერი ლელა ხურცილავა მადლობას უხდიდა მუნიციპალიტეტის მერსა და შესაბამის სტრუქტურებს შესრულებული სამუშაოსთვის და კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს, რომ ეს კლინიკისა და მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი საჭიროება გახლდათ.

თეა ბაბუნაშვილი

# ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლით სამტრედიელი ბავშვები უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს ითავისებენ

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მუნიციპალიტეტებში სალოტბარო სკოლების დაარსება 2015 წლიდან დაიწყო. ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით 30 სალოტბარო სკოლა ფუნქციონირებს, მათ შორისაა სამტრედიის სალოტბარო სკოლა, სადაც საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრის ინიციატივითა და მხარდაჭერით სამტრედიელი ბავშვები ხალხურ სიმღერასა და ტრადიციულ გალობას 2018 წლიდან შეისწავლიან. გაკვეთილები დიმენტი შანიძის სახელობის ნომერ პირველ სახელოვნებო სკოლაში კვირაში ორჯერ ტარდება, რომელსაც ლოტბარი ბესიკ მახათაძე წარმართავს. იგი თბილისიდან სამტრედიაში სპეციალურად იმისთვის ჩამოდის, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს სიმღერა – გალობა შეასწავლოს.

ბესიკ მახათაძე: "პირველივე წლიდან მოგვივიდა ძალიან ნიჭიერი, ქართული ფოლკლორით დაინტერესებული მოსწავლეები, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ სამტრედიის სალოტბარო სკოლას აქვს საკმაოდ კარგი მიღწევები. პირველი ნაკადის მოსწავლეთა უმრავლესობა დღემდე დადის გაკვეთილებზე და მე პირადად მიღწეულ შედეგებს უმეტესწილად მათ დამსახურებად მივიჩნევ. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ყოველწლიურად საკმაოდ მიზანდასახული მოსწავლეები გვემატებიან.

როგორც მოგეხსენებათ, აღარ არსებობდა, ან ძალიან რთული მოსაძებნი იყო ისეთი ოჯახები, სადაც არ გალობდნენ და არ მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს. ვიმედოვნებთ, რომ მივუახლოვდებით იმ მდგომარეობას, როცა ოჯახები და ტაძრები ხალხური სიმღერითა და გალობით შეივსება."

დაარსებიდან დღემდე სამტრედიის სალოტბარო სკოლაში 70 მოსწავლე ჩაირიცხა. ამ ეტაპზე სწავლების კურსს 40 ბავშვი გადის, მათ შორის ოთხი სერტიფიკატის მფლობელია, რომლებმაც თბილისში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, სპეციალური კომისიის წინაშე 2 წლის განმავლობაში მიღებული ცოდნა და თავიანთი შესაძლებლობები წარადგინეს. თეკლე გიორგაიამ, მარიამ ბუაძემ, მარიამ ღლანიძემ და ელენე ესებუამ გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. სამტრედიელ მოსწავლეებს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისგან სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. სერტიფიკატის მფლობელთაგან ორი მოსწავლე, მარიამ ღლანიძე და მარიამ ბუაძე გვტოვებენ, სწავლას თბილისში განაგრძობენ და სამტრედიაში დაბრუნების შემდეგომ ხალხური სიმღერა და გალობა მომავალ თაობებს შეასწავლონ.

ბესიკ მახათაძე: "ძალიან მიხარია ეს წარმატება და ამაყი ვარ ჩემი სამტრედიელი მოსწავლეებით. ბავშვები მონდომებული არიან და ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო. წელს პირველად ჩვენი ოთხი მოსწავლე წარსდგა გამოცდაზე. მინდა აღვნიშნო, რომ ამ ოთხ მოსწავლეს და სხვა მოსწავლეებსაც შეუძლიათ და ფლობენ ხალხური სიმღერისა და საგალობლის სამივე ხმას, რაც საკმაოდ რთული საქმეა. ჩვენმა მოსწავლეებმა გამოცდაზე კომისიის მიერ მიღებულ დავალებებს პროფესიონალურად გაართვეს თავი და სერტიფიკატები დაიმსახურეს. მომავალ წელს ჩვენი ოთხი



მოსწავლე თბილისში განაგრძობს სწავლას. გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ისინი დაბრუნდებიან სამტრედიაში და ხალხური სიმღერისა და გალობის პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეს ღირსეულად წარმართავენ. მსგავსი ფაქტები სხვა სალოტბარო სკოლების მაგალითზე უკვე არსებობს, რამაც ხელი შეუწყო რეგიონებში ამ საკითხით ბავშვების დაინტერესებას."

სამტრედიის სალოტბარო სკოლაში სექტემბრიდან ახალ ნაკადს ელოდებიან. ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლის სურვილი 30-მა ბავშვმა გამოთქვა. რაც შეეხება მიმდინარე ეტაპის მიღწევებს, სამტრედიის სალოტბარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო ფესტივალში "მომავლის ხმები 2022"

სალოტბარო სკოლების ფესტივალი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებითა და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ანაკლიაში 17-24 ივნისს გაიმართა. ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლების 250 მოსწავლე, ანაკლიაში ორ ნაკადად ჩავიდა. სამტრედიელი ბავშვები ფესტივალში მესამედ მონაწილეობდნენ. წელს გამართული ფესტივალი გამორჩეული, დაუვიწყარი, სიხარულით, ბედნიერებით და ქართული სიმღერით იყო აღსავსე.



საქართველოს მუნიციპალიტეტების სალოტბარო სკოლების მოსწავლეებმა ანაკლიაში მშვენიერი დღეები გაატარეს და ფესტივალის ფარგლებში უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. დამეგობრდნენ, ერთად იმღერეს, ერთად იგალობეს, ერთად ითამაშეს სპორტული თუ ინტელექტუალური თამაშები. გაიცნეს ახალი ლოტბარები სხვა სალოტბარო სკოლებიდან, რომლებმაც მასტერკლასები გამართეს და ერთმანეთს თავიანთი კუთხის სიმღერები შეასწავლეს.

ფესტივალი 24 ივნისს სენაკში, აკაკი ხორავას სახელობის დრამატულ თეატრში გამართული დასკვნითი კონცერტით დასრულდა.

ნინო ესებუა (მშობელი): "სამტრედიის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებისა და მშობლების სახელით, პირველ რიგში, მადლობას ვუხდი ფოლკლორის ეროვნულ ცენტრს, ცენტრის ხელმძღვანელს გიორგი დონაძეს, იმისთვის, რომ სამტრედიაში სალოტბარო სკოლა დააარსეს და გამოგვიგზავნეს ბრწყინვალე სპეციალისტი და პედაგოგი. მადლობა თავად ლოტბარ ბესიკ მახათაძეს დაუღალავი შრომისათვის. მადლობა ფოლკლორის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერს ხალიმე ცისკარაულს იმისთვის, რომ ყველაფერს აკეთებს სალოტბარო სკოლების მოსწავლეების დამეგობრებისათვის, რისი ნათელი მაგალითიც ამ დღეებში გამართული ფესტივალი "მომავლის ხმები" გახლდათ, საიდანაც ჩვენი შვილები შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ სამტრედიაში".

შორენა ნიკოლეიშვილი

## სამტრედიის ეტალონი მოსწავლე ნინო დავითაია

ნინო მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა, ინტელექტ-ჩემპიონატი ონლაინ გაიმართა. ამ გამარჯვებით მას მიეცა შანსი, მონაწილეობა მიიღოს ფინალურ თამაშში, რომელიც სრულიად საქართველოს ეტალონ მოსწავლეს გამოავლენს! წარმატებები ვუსურვოთ მას!



"სამტრედიის მაცნე" ნიჭიერ ახალგაზრდას გაესაუბრა და ჰკითხა, საყვარელი საგნებისა და გატაცებების შესახებ.

ნინო დავითაია: "ჩემი ჰობი ყოველთვის იყო ინტელექტუალურ-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობა, სკოლაში არსებობს შიდა და გარე სასკოლო კონკურსებისათვის მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც ხდება დამატებითი ცოდნის მიღება და რეალიზება, ჯგუფს ხელმძღვანელობს ქალბატონი ვიოლეტა მეკუა. მასთან ერთად, მოსწავლეთა მომზადებაში ჩართულია სკოლის პედაგოგიური კოლექტივის უმრავლესობა, პროექტ "ეტალონში" წელს პირველად ჩავერთე. კითხვათა უმრავლესობას კარგად გავართვი თავი, ვფიქრობ, ზოგადად, ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო დროის რეგლამენტი. ბედნიერი ვარ, რომ გავხდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლე, ჩემთვის დიდი სტიმულია. მომავალშიც ჩავერთვი მსგავს კონკურსებში, მადლობა პროექტ "ეტალონს", რომ მომცა ჩემი ცოდნის რეალიზების საშუალება.

ფინალურ ტურს ნინო მუნიციპალიტეტის რესურსცენტრიდან ვიდეო-პლატფორმის საშუალებით შეუერთდება, რომელსაც პროექტის ავტორი, გოჩა ტყეშელაშვილი ხელმძღვანელობს.

ხათია ჩაცვლიშვილი

## მარად ჩვენი თანამედროვე – ილია

ქართველი ერის სულიერი მამისა და უკვდავი მწერლის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 185-ე წლისთავს მიეძღვნა ლამაზი ღონისძიება, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული მოსწავლეთა პარლამენტის ინიციატივით გაიმართა.

ქრონოლოგიურად ისაუბრეს ღონისძიების მონაწილეებმა ბუმბერაზი ემროვნის? მოღვაწეობის უკიდეგანო მასშტაბებზე. ჩვენს თვალწინ გაცოცხლდნენ გმირთა სახეები მწერლის ნაწარმოებებიდან და ილიას სულიერ საუფლოში ერთი საათით, თუმცა შთამბეჭდავად გვამოგზაურეს.

საზოგადოება "სამტრედიელის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გია ბოჭორიშვილმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემ, მისმა მოადგილემ ელიკო ანჯაფარიძემ, იურისტმა ლუიზა მიქაუტაძემ და მშობლებმა მადლობა უთხრეს ღონისძიების მონაწილეებს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მესვეურთ, ახალგაზრდული პარლამენტის კოორდინატორს, მარიამ ჯუღელიძეს და დარბაზი ქმაყოფილი დატოვეს.

ისლა დაგვრჩენია, ჩვენი მხრივაც მადლობა ვუთხრათ ლამაზი, შთამბეჭდავი ღონისძიების ინიციატორთ, მონაწილეებს, ვიმედოვნებთ, სხვა სკოლებიც ხათანადოდ აღნიშნავენ დიდი ერისკაცის იუბილეს.

ილიას გზით ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის!

ლევან ბაბუჩავა



# გაიცანით კახა გალდავა — მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარდგენილი პედაგოგი!

ნათია ნაცვლიშვილი

სრულიად საქართველო გულშემატკივრობს კახა გალდავას, სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის ისტორიის წამყვან მასწავლებელს, რომელიც მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2022 წლის საუკეთესო ათეულის სათავეშია. ამ წარმატებულთაგან ერთ-ერთი, 5 ოქტომბერს, მასწავლებლის საერთაშორისო დღეს, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდება და ფულად ჯილდოსაც მიიღებს კონკურსის გენერალური სპონსორისგან გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდიდან.

საუკეთესო ათეულის დანარჩენ წევრებს კი ღირსეული პრიზებით დააჯილდოებს. "სამტრედიის მაცნე" მილოცვის გამოხატვასთან ერთად კახა გალდავას დაუკავშირდა და რამდენიმე კითხვით მიმართა:

**— ბატონო კახა, ვისი რეკომენდაციით აღმოჩნდით ამ მაღალი ჯილდოს პრეტენდენტთა საუკეთესო ათეულში?**

— ბატონმა ლადო ოჩხიკაძემ წარმადგინა ამ მაღალ ჯილდოზე, ეს ცოტა არ იყოს, მოულოდნელი, არასდროს მიფიქრია, რომ იმ დიდი ოჯახის წევრი გავხდებოდი, რომელსაც "მასწავლებლის ეროვნული ჯილდო" ჰქვია. ვარ ბედნიერიც და ამავდროულად, ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას, რადგან არამარტო ჩემს თავს წარმოვადგენ, არამედ, ჩემს მუნიციპალიტეტს და ჩემს საამაყო პირველ სკოლასაც, რომელმაც ჩემს მიმართ უდიდესი მხარდაჭერა გამოამჟღავნა.

**— თქვენი სკოლის პედაგოგმა, ზოია ჯანაშიამ მითხრა, რომ შეუძლებელი შეძელით, სკოლის იმ მოსწავლეებს ხედავენ შესვენებაზე ისტორიის წიგნებით ხელში, რომლებიც არასოდეს ეჭირათ დასვენებაზე სახელმძღვანელო... როგორ შეძელით ეს?**

— დღემდე ვერ ვიცილებ იმაზე ფიქრს, თუ როგორ გავაუმჯობესო მოსწავლეთა შედეგები, როგორ დავეხმარო ბავშვებს ინტელექტუალური და სოციალური უნარების გაუმჯობესებაში. სკოლაში მუშაობის დაწყების პირველივე დღიდანვე დავიწყე ყველა ამ სტერეოტიპის დამსხვრევა, რომელიც მასწავლებლის მიმართ არსებობდა, 18 წლის მეთორმეტეკლასელები 21 წლის მასწავლებლის გამოცდილებას შემოწმებდნენ, პირველივე დღიდან ვაწარმოებდი დღიურს, რომელშიც მოსწავლეთა ქმედებებს, შეხედულებებსა და აღწერილობებსაც კი ვინიშნავდი, მათთან ურთიერთობაში ყოველდღიურად ვსარგებლობდი ჩანაწერიდან და ვაკვირდებოდი სწავლის ან ქცევის მიმართულებით განვითარებულ ცვლილებებს. ერთ დღესაც ხელში შემრჩა დოკუმენტი, რომლის წინაც შევკრა გადაწყვეტა და სათაური — "სმა, რომელიც ქარბში ნაკარგა" გამოხატულებულად მწად მაქვს. მასწავლებელი აქტივობა "ელექტრონავიგატორი", სადაც ქართულ სიტუაციაში, თოკებით დახლართულ ოთახში, მოსწავლეები გზას გაიკვლევდნენ ცდილობდნენ და ეძებდნენ დასახულ მიზანთან მისასვლელ გზებს. ასე გავაცნობიერე, რაოდენ მნიშვნელოვანია ქმედებით, ფიქრებით, სხვადასხვა ფიქრის სტრატეგიებით, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებით და პირადი მაგალითებით სწავლება.

**— არაერთი ნოვაციის ავტორად გიცნობენ საქართველოში, გვიამბეთ თქვენი საინტერესო პროექტების შესახებ.**

— 2012 წლიდან ვარ ისტორიის სერტიფიცირებული მასწავლებელი, 3 წლის განმავლობაში ვასრულებდი ისგ-ის მონიტორინგის ხელმძღვანელის ფუნქციას, ვარ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი ისტორიის მიმართულებით და ოთხ მუნიციპალიტეტში აქტიურად ვარ ჩართული ქოუჩინგის პროცესში, ვარ ტრენერი სამშვიდობო განათლების მიმართულებით, სადაც ავხსნი და ეხ პედაგოგებს ვეხმარები, გაეცნონ განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს და დანერგონ თავიანთ სკოლებში. ვმონაწილეობდი ერევანში, სტამბულსა და თბილისში გამართულ მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენციებში, კოლეგებს გავუზიარე ჩემი კვლევების შედეგები და პროფესიული გამოცდილება, საქართველოს სხვადასხვა სკოლაში დავდივარ და მასწავლებლებს ვეხმარები, დანერგონ თანამედროვე მიდგომები საგაკვეთილო პროცესში, მათთან ერთად ვგეგმავ და ვატარებ გაკვეთილებს, ჩემი შედგენილია სასკოლო კურიკულუმის აუცილებელი პროდუქტი — თემატური მატრიცა "გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო", რომელიც საქართველოს ყველა სკოლაში ინერგება აქტიურად, დავწერე სტატიები "ახალ განათლებაში", შექმნილი მაქვს მეთოდური სახელმძღვანელო ისტორიის მიმართულებით და 5 სასწავლო მეთოდური მოდული მშვიდობის მშენებლობის თემაზე. ჩემს მოსწავლეებთან ერთად დავაარსე საქველმოქმედო ფონდი "სიკეთის რევოლუცია", რომელიც ერთი წლის მანძილზე დაეხმარა 60-ზე მეტ ოჯახს. მაგნის პოპულარიზაციის მიზნით ვახორციელებ პროექტებს: "შეკითხვების დღიურები", "გაიცანი ისტორია ექსპონატით", "აჩვენე შენი ქალაქი თანატოლებს", "ხელი ხელს ბანს", "ჯანმრთელი ფილტვები". "მე დაწყებული ვარ "მომავალი სასწავლო წლისთვის სამტრედიის პირველ საჯარო სკოლაში საკუთარი ძალისხმევით ვაარსებ სტიპენდიას ისტორიაში საუკეთესო მიღწევების მქონე ბავშვებისათვის, სტიპენდიის დებულება უკვე შევადგინე.

**— რა იყო თქვენი პედაგოგიური საქმიანობის მანძილზე ყველაზე დიდი გამოწვევა?**

— სამტრედიის მეთხუთმეტე საჯარო სკოლაში (მადლობა გია მეიშვილს, სკოლის იმჟამინდელ დირექტორს, რომ გამიღო სკოლის კარი 2013 წელს, როცა უსამსახუროდ დავრჩი) მუშაობა, სადაც რთული ქცევის, კანონთან კონფლიქტში მყოფი, ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემების მოზარდები სწავლობდნენ, სირთულე მალევე დაიძლია, სწორედ იქ მივხვდი, რას ნიშნავს, იყო ფრთხილი. მათ მიმართ არა სიბრალული, არამედ ემპათიის უნარი მჭირდებოდა, ასე ვაღიარე განსხვავებული შესაძლებლობები და დავიწყე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა. ჩემს გაკვეთილზე ნაკლებად გამოიხატებოდა რთული ქცევა, მოსწავლეები მაქსიმალურად დაინტერესდნენ ისტორიით, რასაც ერთხანს 8 მოსწავლესთან გარე დაკვირვების წარმატებით გავლაც ადასტურებს. ესეების კონკურსში გამარჯვეს ჩემმა მოსწავლეებმა, ჩემი მოსწავლეები ყოველ წელს ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგებით გამოირჩევიან.

**— ვთქვათ სიმართლე, როგორ გაგიჭირდათ საჯარო სკოლაში დამკვიდრება...**

— 2008 წლიდან დღემდე 8 სკოლა და არაერთი დაწესებულება იყო ჩემი სამუშაო ადგილი, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო, სკოლაში მუდმივი სამუშაო არასოდეს მქონია, როცა მეთხუთმეტე საჯარო სკოლა დაიხურა, პირველი საჯარო სკოლა აღმოჩნდა ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი, მიმიღეს, ჩამიხუტეს და მომცეს მათთან, პირველებთან მუშაობის შანსი, მინდა უდიდესი პატივისცემა გამოვხატო ქალბატონების ხათუნა ფაილაძის, ციური ხურცილავას და მთელი ჩემი სამაგალითო პირველი სკოლის თანამშრომლების მიმართ. მათი გვერდით დგომის შედეგია, რომ ვარ იქ, სადაც ვარ!





# პაუზით, ფორტეთი და პიანოთი

თეა ბაბუნაშვილი

დაპაუზებულები უკვე ნაცნობ პაუზაზე მეტით ვსაუბრობთ. ეს რას ნიშნავს და იმას, რომ თითქმის ყველგან, სადაც, თუნდაც, უბრალოდ სასაუბროდ ჩამოვუჯდებით, იმ შეჩერებულ რეალობაზე საუბრობენ, შენელებულ კადრად რომ დაამახსოვრდება კაცობრიობის ისტორიას. კოვიდ პანდემიამ საკუთარი წესები დააწესა და მათი შესრულების შემდეგ შენელებული კადრის აჩქარება, უფრო სწორად, ძველ კალაპოტში ჩადგომა კვლავ შეუძლებელი გახდა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე.

სასწავლო წლის დასასრულს სამუსიკო სკოლების შემაჯამებელ კონცერტებზე დასასწრებად მიწვეულებს, ძალიან დიდი მოიგონა მსმენელმა დარბაზში და მოსწავლეებმა სცენაზე. კულაშის სამუსიკო სკოლაში ახლა მხოლოდ მუსიკალური პაუზით, ფორტეთი და პიანოთი უკრავდნენ და მსმენელის ტაშს იმსახურებდნენ. ქეთი გოგუას, გვანცა ხურტუას, ნინო არველაძის, ნათია რუხაძის მოსწავლეები, ანასტასია კილურაძე, ნინო შენგელია, თამარ კიზიცაძე, მონიკა კანდელაკი, მარიამ მანჯგალაძე, სანდრო ჩხაიძე, თეკლა შენგელია, ნათია ბახძავა, ანი ფარცვანია, ელენე სტურუა, მარიამ უგრელიძე, ქრისტინე ცომაია, თეკლა გუბელაძე, ქეთევან ნიკურაძე ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს ასრულებდნენ. ქართულ ხალხურ საკრავებზე რამდენიმე კომპოზიცია ბადრი კენტელიძის მოსწავლეებმა შეასრულეს. ლუდმილა არველაძის ხელმძღვანელობითა და კონცერტმაისტერ ნათია რუხაძის შესრულებით მოსწავლეებმა საგუნდო სიმღერებიც იმღერეს. კონცერტის დასასრულს სამუსიკო სკოლის დირექტორმა ნინო ნანობაშვილმა აღნიშნა: "მადლობას ვუხდი ჩემს მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს განსაკუთრებული მონდომებისთვის. ამ ორწლიანმა იძულებითმა პაუზამ ხელი მნიშვნელოვნად შეგვიშალა. სწავლის პროცესი სამუსიკო სკოლაში ონლაინ მეთოდით, დამამძიმებელი, ცოტა უჭირდათ მოსწავლეებს



უსმენლად ამისა, კარგი კონცერტი გამოგვივიდა. კლასიკური მუსიკისთვის ძალიან მიკვლევა დროში მომზადება იყო და პედაგოგები ამდენსაც არ ველოდით. ვიმედოვნებთ, მომდევნო სასწავლო წლიდან სწავლის პროცესი ჩვეული რიტმით აღსდგება."

საჯარო სკოლის შენობას შეკედლებულ ტოლების სამუსიკო სკოლის პედაგოგებსა და აღსაზრდელებს კიდევ უფრო უჭირთ საგაკვეთილო პროცესის გამართულად წარმართვა. მიუხედავად ამისა, აქაური მოსწავლეების შესრულებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ცოდნის მიღების ინფრასტრუქტურაზე მეტად სურვილი და მონდომება სჭირდება. რამდენიმე მოსწავლის საშემსრულებლო მანერასა და შესრულების ტექნიკას ბევრი სოლიდური სასწავლებელი დაიბრალებდა. ნინო წერეთელი, მარიამ წერეთელი, მარიამ ჭკუასელი, ლიზი ლორია პედაგოგების, ნანული ზაკუპელიასა და მაია ნაკოლდიშვილის მოსწავლეები არიან. მათ გარდა, საგუნდო ნაწარმოებები ყოფილია ცოტაძის მოსწავლეებმა საუკეთესოდ შეასრულეს. ხალხურ საკრავთა ანსამბლს კი ბადრი კვანტალიანის პროფესიონალიზმი ეტყობოდა. ტოლების სამუსიკო სკოლის დირექტორი მაია ნიკოლეიშვილი სკოლის საჭიროებებზე საუბრისას საკუთარი სკოლის მოსწავლეების ნიჭიერებაზე საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ "ასეთი მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეებს, სასურველია მეტი შესაძლებლობები ჰქონდეთ ჯეროვანი განათლების მიღებისთვის. ჩვენი სკოლის პედაგოგების მონდომება ეტყობათ ამ ბავშვებს და შედეგს მსმენელი ამ მოკრძალებული კონცერტითაც დაინახავს."

კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის, თუნდაც, ამგვარ კონცერტებზე დასწრება, განსაკუთრებით სასიამოვნოა. პედაგოგების იმედს მხოლოდ ის ასაზრდოებს, რომ ამიერიდან პაუზა არა რეალობაში, არამედ მხოლოდ მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისას დასჭირდებათ მოსწავლეებს.







# "მეც წამოვიწყე სიმღერა"

ნათია ნაცვლიშვილი

*საბავშვო პოეტის, დომენტი გოგიტიძის ლექსის ეს ტაეპი სხვა ტაეპების მსგავსად გაისმა შეხვედრაზე, რომელიც ახლახან გამოცემული მისი წიგნის, "სხივთა ფუნჯის" პრეზენტაციას მიეძღვნა. დომენტი გოგიტიძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ, წლების განმავლობაში იყო საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობის კორესპონდენტი იმერეთის რეგიონში, წერდა პუბლიკაციებს, წერილებს, ჩანახატებს, ინტერვიუებს, მინიატურებს ... ორი ქალაქის, სამტრედიისა და აბაშის კოლორიტი იყო, განაცხადა პოეტის შვილმა, პედაგოგმა გულიკო გოგიტიძემ, რომელიც თავადვე წარუძღვა ღონისძიებას. ეს აქტიური ადამიანი, რომელსაც იმერეთის ოთხ რაიონში ნახავდით, წერდა საბავშვო ლექსებსაც, რომელთა ინსპირაციის წყარო მისი საყვარელი შვილიშვილი, ბაჩუკი იყო, ასევე იყვნენ სამტრედიის ღირსეული ადამიანები, ექიმები, ფაბრიკა-ქარხნების მუშები, პოეტები, მწერლები, პედაგოგები, საინტერესო ადამიანები. ამიტომაც არის, რომ მისი ლექსები გასული საუკუნის 60-70-იანი წლების სამტრედიული ყოფის მხატვრული მატიანეა.*

ოჯახის წევრებმა თავი მოუყარეს მის საინტერესო შემოქმედებას და გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ წიგნად გამოსცეს. პოეტის საღამოს დაესწრნენ როგორც სამტრედიის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ისე მოწვეული სტუმრები. საღამოს დაესწრნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: კობა ძიძიგური, გოგი ლეჟავა, ლიზა კრავეიშვილი. სამტრედიელები განსაკუთრებით გაახარა თანამედროვეობის აღიარებული პოეტის, ბათუ დანელიას სტუმრობამ, რომელიც მეზობელი აბაშიდან გვეწვია.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზში იყვნენ ადამიანები, რომელთაც უშუალოდ უნახავთ დომენტი გოგიტიძე. მეორე საჯარო, მართლმადიდებლური, მეთორმეტე საჯარო, მეექვსე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა პოეტის ძალიან ლამაზი ლექსები შესანიშნავად წაიკითხეს და ბავშვების ზღაპრულ და იდუმალ სამყაროში აღმოვაჩინეს. ასევე ჩაერთნენ ღონისძიებაში მერაბ კოსტავას ქუჩის მცხოვრებნი, გულიკო გოგიტიძის სამეზობლოში მყოფი მოსწავლეები. დომენტი გოგიტიძე გაიხსენეს მუსიკოსმა ფოთოლა ნიქობაძემ, პოეტმა თამარ რაზმაძემ, პოეტმა აკაკი თევზაძემ. აკაკი თევზაძე: "მქონდა ურთიერთობა ბატონ დომენტისთან. მან თავისი დროის აქტიურმა კაცმა სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრა, გაზეთები აჭრელებული იყო მისი პუბლიკაციებით, ინტელიგენტი კაცი იყო, ელეგანტური, მაგალითი იყო იმისა, როგორ უნდა დაიხარჯოს კაცი ქვეყნის და ხალხის სამსახურში, მას მშვენიერი მეტაფორული აზროვნება აქვს და საუკეთესო პოეზია დაგვიტოვა". იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ლამაზი მეტაფორებით დატვირთული მისი პოეზია, აკაკი თევზაძემ წაიკითხა პოეტის ლექსი ზამთარზე.

პოეტმა მაყვალა ნიორაძემ დომენტი გოგიტიძის ხსოვნისადმი პატივისცემა მისადმი მიძღვნილი უფაქიზესი ლექსით უკვდავყო "ფანჯრებს მიღმა ირხევიან მოგონების ფარდები..." ნათქვამია ლექსში. – ბატონ დომენტის პირადად არ შევხვედრივარ, მაგრამ ჩემი თაობა მის ლექსებზე გაიზარდა, – მიმართა საზოგადოებას და დომენტი გოგიტიძის ლექსი წაიკითხა პოეტმა მანანა ტოხაძემ. მან ასევე გაიხსენა ის მრავალფეროვანი ლიტერატურული ცხოვრება, რომელიც სამტრედიაში მის სიყმაწვილეში არსებობდა.

დარბაზს ბათუ დანელიაც მიესალმა და ხაშურიდან ჩამოსული პოეტი, ლეილა ჯახველაძეც. ქალბატონმა ლეილამ უამრავი თბილი სიტყვა თქვა პოეტ დომენტი გოგიტიძის შემოქმედებაზე და განსაკუთრებულად აღნიშნა გულიკო გოგიტიძის უნარი, მისი გულის სითბო გაუნაწილოს და ამყოფინოს უამრავ ადამიანს, იზრუნოს მათზე. ქალბატონ გულიკოს ასევე ის თავდადება შეუქო, რაც მან, ადრეულად დაქვრივებულმა, ერთადერთი შვილის აღზრდასა და დაკვალიფიცირებაში გამოიჩინა. განსაკუთრებული მადლობა საფრანგეთში მოღვაწე შესანიშნავ პოეტსა და მთარგმნელს, ბაჩანა ჩაბრაძეს გადაუხადა მისი ერთ-ერთი ლექსის ფრანგულ ენაზე თარგმნის გამო.

– მოგესალმებით ყველას, ბატონ ბათუ დანელიას მოვიკითხავ, თავს ვუკრავ თქვენს პოეზიას, –ასე დაიწყო გამოსვლა პოეტმა ილია ლეკვეიშვილმა. მან კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის შვილისადმი მიძღვნილი საბავშვო ლექსი წაიკითხა. ვანის ერთ-ერთი პერიოდული გამოცემის ხელმძღვანელმა, ნატო მეფარიშვილმა ისაუბრა დომენტი გოგიტიძის შემოქმედებაზე და შემდეგ ბაჩანა ჩაბრაძის შესანიშნავი პოეზიიდან ციტატები მოიყვანა.

შეხვედრის მსვლელობისას ონლაინ ჩაერთო ბაჩანა და ბაბუა გაიხსენა. ბაჩანა ჩაბრაძე: "თავისი არსებობით, მისწრაფებებით, სამუშაო იარაღებით თუ კალმით, ის იყო გამოკვეთილი ესთეტი, თავისი პორტატული ჩამწერით და კოხტა ცილინდრით, საოქმელის ელეგანტურად გამოთქმის მცდელობებით გაჯერებული მისი პოეზია, სადაც შეხვდებით რომანტიკულსა და ბიოგრაფიულ ლექსებს, კრიტიკულ პოეზიას ბიუროკრატიისა და პროპაგანდის მიმართ, აქ ცოცხლდებიან მისი ეპოქის გმირები, მერიები, მექანიზატორები, ფაბრიკა-ქარხნების მუშები... "

სამტრედიელი ტურისტის, თათარ სტურუას პირად არქივში დაცულმა ჩანაწერმაც გაიჟღერა დარბაზში და დამსწრეებმა იხილეს, თუ როგორ მიესალმა ბაბუას დაწერილი ლექსით ცხრა წლის ბაჩანა სამტრედიაში სტუმრად მყოფ სახელოვან მოჭადრაკე ქალებს. "მოგესალმებით ბაჩუკი, ბიჭი ჭადრაკის ტრფიალი"– ასე სრულდება ეს ლექსი, რომელსაც მომავალი პოეტი და მოჭადრაკე ბაჩანა ჩაბრაძე ბავშვური შემართებითა და ემოციით წარმოსთქვამს. ბაჩანა უკვე პოეტურთან ერთად, საჭადრაკო მწვერვალების მპყრობელიცაა! განსაკუთრებული ემოცია ეკრანზე ბაჩანას შვილების, ტატიასა და ლილის გამოჩენამ გამოიწვია, ტატომ ქართულ ენაზე წაიკითხა დიდი ბაბუას ლექსი.

ანსამბლ "ნანეს" (ხელმძღვანელი მერი ტკაცერია) მომღერლების შესრულებით მოისმინეს დომენტი გოგიტიძის ლექსზე აღდგენილი სიმღერა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნას მიეძღვნა. სიმღერა კომპოზიტორ მზია ჯინჭველაშვილს ეკუთვნის. ქალთა ანსამბლ "აიისათის" მიერ შესრულებულმა სიმღერამ "სამტრედიაზე" შეკრებილთა ულევი სიამოვნება მიანიჭა.

საინტერესო იყო საბავშვო პოეტის, მარიამ წიკლაურის ონლაინ შემოერთება, რომელმაც მადლობა გადაუხადა დომენტი გოგიტიძის შვილსა და შვილიშვილს მშობლის ხსოვნის გაუკვდავებისათვის. "თქვენ ფასდაუდებელი საქმე გააკეთეთ, ასე რომ, გააცოცხლეთ მისი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ასეთი სიცოცხლე მიეცით, მჯერა, იგი მკითხველთათვის თანმდევი გახდება". მარიამ წიკლაურის შესანიშნავი ლექსი "რას ვეტყვით შვილებს" ფრანგულ და ქართულ ენებზე წაიკითხა მეორე სკოლის კურსდამთავრებულმა, მარიამ ფილიშვილმა.

– პოეტები და მწერლები ძალიან დიდი ნებისყოფის ხალხი ხართ, თქვენი ღვაწლი მუდამ დაუფასებელია, –მიმართა შემოქმედთ კობა ძიძიგურმა. სამტრედიის კოლორიტმა ქალბატონმა, ნათელა გელეიშვილმა აღფრთოვანება გამოხატა იმდღევანდელი ღონისძიებით და აღნიშნა, უდიდესი სიხარული მომანიჭა დომენტი გოგიტიძის შემოქმედების გაცნობამ და ამ საზოგადოების ხილვამ. დარბაზში მრავალგზის გაიჟღერა მისი შვილის, საქვეყნოდ ცნობილი მოჭადრაკის, სოფიკო ტერელაძის სახელმა, სოფიკოს ვაჟმა თაზო ლომინაძემ კი, წაიკითხა დომენტი გოგიტიძის ლექსი, რომელიც სოფიკო ტერელაძეს ეძღვნება.

" სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელმა მდივანმა, ლევან გაბეჩავამ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველების გახსენებით დაიწყო გამოსვლა, პრეზენტაციაც სიმბოლურად, ომის დაწყების თარიღს, 22 ივნისს დაემთხვა. გამომსვლელმა ისაუბრა დომენტი გოგიტიძის ჟურნალისტური პატიოსნების და პირუთვნელობის შესახებ, რაც არცთუ ადვილი იყო ეპოქაში, როცა მაღალი ხანიერების და ანონიმური წერილების წერით იყო დაკავებული. – ჩვენი გაზეთი, "სამტრედიის მაცნე" ეძებდა და ეძებს ტალანტებს,ასე ვიპოვეთ ნიჭიერი ახალგაზრდა, ბაჩუკი ჩაბრაძე, რომელიც, ცხადია, ყველაფერ ნიჭის წყალობით გზას გაიკვლევდა, მაგრამ ჩვენმა კოლეგამ, აჭარის დამსახურებულმა მასწავლებელმა და უხუცესმა ჟურნალისტმა, კორნელი ჩიხლაძემ იგი აღმოაჩინა და შემოქმედებით გზაზე მის წარმოჩენას შეუწყო ხელი, ბაჩანას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დღეს ის ბატონ კორნელისთან კავშირს არ წყვეტს. ბატონი კორნელი ლეგენდაა მოჯაჭვული. განსაკუთრებით საამაყო ის არის, რომ ბაჩანას სახით ჩვენს მუნიციპალიტეტს ჩვენი კულტურული ელჩი ჰყავს საფრანგეთში." - აღნიშნა ლევან გაბეჩავამ.









# სტუმრად "დაჩის ზღაპრების" ავტორის სამყაროში

ნათია ნაცვლიშვილი

"სამშობლო ისეთი მეეახშეა, ვერასდროს მისი ვალიდან ვერ ამოხვალ" – ეს ოტია იოსელიანის დანაბარებია, იმ ოტიასი, განუყრელი სვანური ქუდითა და ჩიბუხით რომ უნახავთ ტელეეკრანზე ამ პატარებს. ისინი მეოთხე საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეები არიან, ეს ნიჭიერი და გონებამახვილი "სამშობლო ისეთი მეეახშეა, ვერასდროს მისი ვალიდან ვერ ბავშვები წყალტუბოში, ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმს აწვია კლასის დამრიგებელმა, თეა ადეიშვილმა. ოტიას კარმიდამო, წლებია, ერთგვარი მიზიდულობის ცენტრად იქცა სრულიად საქართველოს მოსწავლეებისათვის. მას შემდეგაც, რაც სამშობლოს სიყვარულის საქმით გამომხატველი კაცი გარდაიცვალა, არ აკლია სტუმარი დიდი მწერლის ხელით ნაშენებ სახლსა და მის ნალოღიავებ ეზო-კარს.

როგორც თეა მასწავლებელმა განაცხადა, პატარები სასკოლო პროგრამით გაეცნენ "დაჩის ზღაპრებს", მერე გადაწყვიტეს, ყველა მათგანი გასცნობოდა ამ საოცრად საინტერესო ისტორიების მქონე ბიჭის ცხოვრებას. ყველამ შეიძინა "დაჩის ზღაპრები," სწორედ ამ ზღაპრებიდან ამონარიდები თუ ოტიას საინტერესო გამონათქვამები წარმოადგინეს მოსწავლეებმა, გიორგი ადამიამ, ელიზავეტა ბაიბაკოვამ, გიორგი გვეშიძემ, სალომე კვაჭაძემ, ანასოფია სულაბერიძემ, ელენე ფიცხელაურმა, ქეთევან ცხვარაძემ და ლიკა ზაქარეიშვილმა. მოსწავლეები ცერიან ბალახზე, ოტიას საფლავის ახლომახლო ჩამოსხდნენ და საოცარი კაცის ბრძნული შემოქმედების გახსენებით უკვდავყვეს მისი ხსოვნა. მოსწავლეებმა საგანგებოდ მოირგეს სვანური ქუდები და ჩოხა-ახალუხები.

შეასრულეს ულამაზესი სიმღერები საქართველოზე, პატარებს დიდი სურვილი ჰქონდათ, გაეცნოთ ბატონი ოტიას ვაჟი, დაჩი, რომელიც ამ ზღაპრების მთავარი პერსონაჟი და მიძღვნის ობიექტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი დაჩი შეუძლოდ იყო, მაინც დაუგდო ყური ბავშვების საუბარს და შრომა შეუქო პედაგოგებსა თუ პატარებს. ის მათ დაპირდა, რომ უახლოეს პერიოდში განათავსებს ინტერნეტში ოტიას საბავშვო ლექსებს, რომლებიც მწერლის შემოქმედებით საგანძურში მრავლად მოიპოვება.

მწერლის სახლი ნამდვილი ხელოვნების კერაა, ამფითეატრის სტილზე მოწყობილი, რომელმაც ბავშვების გაოცება გამოიწვია და ფანტაზია გაუცხოველა. – ეს ნახატები ყველა ბატონი ოტიასია? ამ სკამზე ალბათ მხოლოდ ბატონი ოტია ჯდებოდა! ეს წიგნები ყველა ოტიამ დაწერა? ეს უცნაური ქალი ვინ გააკეთა? – მოსწავლეთა ამ შეკითხვებს მშვიდად პასუხობდა შესანიშნავი გიდი. მან პატარებს აუხსნა, რომ ეს კულტურული და მოაზროვნე ახალგაზრდა 1957 წელს სამხატვრო აკადემიაში აბარებდა, რომ ქართულ წერაში ჩაიჭრა, სწორედ ამ ფაქტმა აიძულა, დაეწყო წერა და ქვეყნისათვის დაემტკიცებინა, რომ ის მართლაც კარგი მწერალი იყო. იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მწერლის ნახატებიც იხილეს ბავშვებმა კედლებზე, ნახშირით შესრულებული ბებიის პორტრეტი, სვანური კოშკი და სხვა. გაეცნენ ტკივილიანი ბიოგრაფიის მქონე, ობლობაში გაზრდილი კაცის ცხოვრებას, რომელი ნიჭიც თანაბრად დაიხარჯა წერაში, ხატვაში, ძლიერთა ამა ქვეყნისათა კრიტიკაში, მამულის სადარაჯოზე ყოფნაში, ეზო-კარის გალამაზებაში, სხვლაში, ბარვაში, თოხნაში, მებუხრეობაში... და ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ მწერლის საყვარელ საქმეებს დღესაც აგრძელებენ მწერლის შთამომავლები. პატარებმა ოტია იოსელიანი უმცროსიც გაიცნეს, რომელიც დღესდღეობით იქვე ცხოვრობს და ღვინოსაც აწარმოებს.

მოსწავლეებმა ასევე შეიტყვეს, რომ ინდურად, ჩინურად, არაბულად და იაპონურად არის ნათარგმნი დაჩის ზღაპრები, მოინახულეს ღვინის მარანი, უნიკალური ნახატებით დამშვენებული კედლები და ის ნივთები, რომლებიც ისტორიულია და ყველა ქართველს ეპირფასება.

პატარებმა, შთაბეჭდილებებით დატვირთულებმა სხვა აქტივობებით გააგრძელეს დღე. თემა ზაფხული იყო, მასწავლებელმა მათ არაერთი საინტერესო შარადა თუ ამოცანა შესთავაზა ისტორიული პერსონაჟების, მეფეების თუ საქართველოს გმირების შესახებ, რომელთა ვინაობაც ადვილად გამოიცნეს, გამოიცნეს თანაკლასელების ბავშვობის ფოტოებიც, ბურთის თამაშთან ერთად ზაფხულთან დაკავშირებული სიტყვები წარმოთქვეს, რაც ბოლოს ლექსად აიკინძა. თეა მასწავლებელმა თითოეულ მათგანს საინტერესო ლექსიც უძღვნა და მიუხედავად იმისა, დონისძიებაზე ყველა მოსწავლე არ იმყოფებოდა, პედაგოგმა ისინი სიგელებით დაასაჩუქრა, ყველა მათგანმა განსაკუთრებულ ნომინაციაში გაიმარჯვა. საკუთარი ლექსით ერთ-ერთი მშობელიც, იზაბელა მორჩილაძეც მიესალმა თეა მასწავლებელს და მადლიერება გამოხატა იმ დედაშვილური დამოკიდებულების გამო, რომელსაც პედაგოგი ამ ნიჭიერი ბავშვების მიმართ იჩენდა! ის დღე მოსწავლეების ხსოვნაში სამუდამოდ აღიბეჭდა.













# ზღაპრის დღე მე-4 ბაგა-ბაღში

ნინო ნანიტაშვილი

"თუ გინდა აღზარდო კარგი ადამიანი, აჩუქე მას ბედნიერი ბავშვობა." – ამ სლოგანით 8 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-4 ბაგა-ბაღში 3-4 წლიანთა ჯგუფებისთვის მოეწყო ზღაპრის დღე. დიდის ქვეშ ნამდვილი ზღაპრული სამყარო დახვდათ საბავშვო ბაღის ეზოში გამოსულ მე-4 ბაღელებს. დეკორაციები ზღაპრის სცენებიდან, ბუშტები, ყვავილები, ფერადი სკამები. ეზოში საგანგებოდ მოეწყოთ კინოთეატრის ერთგვარი სცენა.

3-4 წლიანთა ჯგუფების აღსაზრდელებმა პედაგოგების ხელმძღვანელობით ჯერ, როგორც წესია, წარმოდგენაზე დასასწრებად ფერადი ბილეთები შეიძინეს. იქვე ფერების გარჩევის უნარი გამოავლინეს, ბილეთის ფერის მიხედვით შეარჩიეს დასაჯდომი ფერადი ბალიში. პედაგოგებთან ციცი სვანიძესთან და ნინო ყურაშვილთან ერთად იმღერეს სიმღერა ფერებზე მუსიკის პედაგოგის, ზეინაბ ხარშილაძის აკომპანიმენტით.

მთავარი წინ ელოდათ. მეზღაპრე ანჟელა ქობალიას გამოჩენას პატარების ქრიამული მოჰყვა.

ზღაპრის დღეზე მე-4 ბაღელებს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიდან და საგანმანათლებლო რესურსცენტრიდანაც მოეწვიათ საპატიო სტუმრები.

"მე-4 ბაგა-ბაღში ჩატარდა "ზღაპრის დღე, რომელსაც ესწრებოდნენ 3-4 წლიანთა ჯგუფი. პატარები დიდი სიხარულით შეხვდნენ ზღაპრის,"სამი გოჭის" გმირებს, რომელსაც აღმზრდელები ასრულებდნენ. აქტიურ ჩართულობას დებულობდნენ პატარები, ცეკვავდნენ და მღეროდნენ მუსიკის თანხლებით. ასეთი დღეები აუცილებელია ყველა ბავშვისთვის, მათი ჰოლისტური განვითარებისთვის. ბავშვი უნდა იყოს ბედნიერი, ეს ბედნიერება კი უნდა მივანიჭოთ ჩვენ დიდებმა." –"სამტრედიის მაცნესთან"" კომენტარში განაცხადა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, მარინა შენგელიამ.









სიხარულით მიდებულმა ემოციამ იფარბა პატარებში, როცა სცენაზე მათთვის ყველაზე საყვარელი მხიარული "სამი გოჭის" ზღაპრის წარმოდგენა დაიწყო. გოჭების ნიღბები მოერგოთ პედაგოგებს ნინო ქეცელიას, მელანო დვალიშვილსა და ლელა ზარბაზიას.

ტყიდან რუხი მგლის გამოჩენამ სიტუაცია დრამით დაძაბა. გოჭებს მგლის ფორმაში გამოწყობილ პედაგოგ ნინო სტურუასთან გამკლავება მოუხდათ. რომ არა ბავშვები, გოჭებს განსაცდელისგან ვერავინ იხსნიდა. რაც პატარებში ბედნიერების განცდას იწვევდა. გადარჩენილმა გოჭებმა ბავშვებთან ბევრი იმხიარულეს, იცეკვეს, იმღერეს. ზღაპრის გმირებს პატარები საზამთროდ სახლის მშენებლობაშიც დაეხმარნენ.

ღონისძიების მომზადების ორგანიზატორები იყვნენ მე-4 ბაგა-ბაღის მმართველი ნანა დუნდუა, მეთოდისტები მარინა ქობიძე და თამარ კოპალეიშვილი.

მგლის სასტიკი ბუნების მიუხედავად ზღაპარი კეთილად დასრულდა, ბოროტება დამარცხდა, სიკეთემ გაიმარჯვა. 3-4 წლიანთა ჯგუფების აღსაზრდელებმა მგელი და გოჭები შეარიგეს, ბოლოს კი ყველამ ერთად დაიკავა სცენა და საზღვარი არ ჰქონდა მათ მხიარულებას.

# ყვავილების ზეიმი

"ბავშვები ედემიდან ყვავილებია". – ამ სლოგანით გაიმართა ღონისძიება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-4 ბაგა-ბაღში, რომელიც ამავდროულად ყვავილების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

ულამაზესი სანახავი იყო 21 ივნისს ქალაქის მე-4 საბავშვო ბაღის ეზო, ღონისძიება მასპინძლა ბაგა-ბაღის მმართველს, ნანა დუნდუას.

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ბავშვთა სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის, პროექტისა და ღია კარის დღეების მოწყობა-დაგეგმარება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა თემატური მიმართულებებისა და ინტეგრირებული სწავლებისთვის. ყვავილების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 4-5 წლიანთა 4-მა ჯგუფმა; აღმზრდელები ქეთევან ლომია, მაკა დვალიშვილი, მარინა კრავეიშვილი და ხათუნა დოლიძე. ნომრების მომზადებაში აქტიურად ჩაერთნენ აღმზრდელის თანაშემწეები.



ხარისხის სტანდარტის მიხედვით, პროექტი ეფექტური და ბავშვებისთვის საინტერესო რომ გამოსულიყო, მე-4 ბაგა-ბაღის მეთოდისტებმა თემა დაგეგმეს ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე. ხელოვნებასთან ზიარების გზით შემუშავდა სტრატეგიები, რათა ბავშვებს მისცემოდათ მეტი შესაძლებლობები მათი შემოქმედებითობის, ფანტაზიის, გემოვნების, წარმოსახვის, დაკვირვების უნარების განსავითარებლად.

აღმზრდელები შემოქმედებითად მიუდგნენ პროცესის დაგეგმარებას, მოეწყო ღია კარის დღე. ეზოში გამოფენილი იყო მშობლებისა და ბავშვების ერთობლივი, თემის შესაბამისი ყვავილების კომპოზიციების ნამუშევრები.

ეზოში მოეწყოთ ხელოვნების სივრცეები, როგორც ბუნებრივი, ასევე მეორადი მასალებისგან დამზადებული. პატარებს მიეცათ შემოქმედებითი თავისუფლება. ხე აწყვეს თითისა და სხვადასხვა საგნების ანაბეჭდებით, შექმნეს აპლიკაციური ნამუშევრები.

ბავშვების მიერ საინტერესოდ შექმნილი მრავალფეროვანი ყვავილების კომპოზიციების გამოფენა ულამაზეს სანახაობას ჰქმნიდა. მე-4 ბაღელებმა წარმოაჩინეს მათემატიკური უნარებიც: სივრცითი ორიენტაცია, ფერის, ფორმის, ზომის თვლადობის, ციფრების გამოცნობის.

ღონისძიებაზე კიდევ უფრო საინტერესო და სადღესასწაულო სანახაობა გახადა მშობლების საღმზრდელო პროცესში ჩართულობამ. ბავშვების სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჰქმნიდნენ ერთობლივ ნამუშევრებს, ერთად ცეკვავდნენ, თამაშობდნენ.

გამოყენებული იქნა ტრანზიცია ლიბორიოს მეშვეობით: ყვავილებით ვარჯიში, სიმღერა, თამაში "ყვავილების გადაცემა", მუსიკალური რიტმული მოძრაობები, მშობლების შეჯიბრი.

ღონისძიების ბოლოს შესრულებული იქნა ფლეშმობი, ბავშვების, აღმზრდელების და მშობლების მონაწილეობით.

ნინო ნანიტაშვილი

# "მათ იმედები ბოლომდე გაგვიმართლეს"

20 ივნისს №4 ბაგა-ბაღში გამოსაშვები ღონისძიება ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდა 5-6 წლიანთა ჯგუფი "ციცქნები" (აღმზრდელი მაკა ჯანელიძე, აღმზრდელის თანაშემწეები ანა ჯულაყიძე, თეონა ჭანტურია). 21 აღსაზრდელიდან ყველა ბავშვი თანაბრად იყო ჩართული სხვადასხვა მუსიკალურ ნომრებში და გასართობ აქტივობებში. ყველა ნომერი შერჩეული იყო ბავშვების ნება-სურვილით, რაც დიდ სიხარულსა და ბედნიერებას იწვევდა აღსაზრდელებში. ღონისძიება ასევე წარიმართა მშობელთა ჩართულობით.



მეტად ამაღელვებელი და სასიამოვნო იყო აქტივობა "დედაშვილობა", სადაც თვალახვეულ ბავშვებს თავიანთი დედები უნდა ამოეცნოთ. კიდევ უფრო კარგი სანახაობა იყო ცეკვა მშობელთა შესრულებით.

პატარებმა ასევე შეასრულეს მუსიკალური თამაში "მუსიკალური რიტმის შეგრძნება", რომელშიც აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ღონისძიება გაალამაზა საბავშვო ბაღის მმართველმა ნანა დუნდუამ. მან პატარებს სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცა.

ღონისძიების ბოლოს მშობლებს გადაეცათ სამახსოვრო ბარათები –""10 მცნება დედებისთვის", პატარებს კი – სამახსოვრო ალბომები.

"ვფიქრობ, რომ დღევანდელი დღე შედგა, რადგან ბავშვები მხიარულად და ხალისიანად დაემშვიდობნენ მშობლიურ ბაგა-ბაღს. მინდა, ჩვენს აღსაზრდელებს სკოლისაკენ მიმავალი გზა დავულოცოთ და წარმატებები ვუსურვოთ მომავალში. ეს დღე არანაკლებ ამაღელვებელია ჩვენთვისაც, რადგან ვემშვიდობებით მეოთხე ბაგა-ბაღში, ჩვენს ეზოში დაფრთიანებულ გოგო-ბიჭებს. მადლობას ვუხდით მშობლებს მუდმივად გვერდში დგომისთვის. ჩვენ ერთად უდიდეს საქმეს, მომავალი თაობის აღზრდას ვემსახურებოდით."

მეოთხე ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას და 5-6 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელს, აღმზრდელის თანაშემწეებს თავის მხრივ მადლობას უხდიდნენ მშობლები. "სამტრედიის მაცნემ" ერთ-ერთი მათგანის საუბარი ჩაწერა. 6 წლის მარიამ გეგეშიძის დედა, მაკა გორგაძე უდიდეს მადლიერებას გამოხატავდა მისი შვილის მზრუნველი, საყვარელი ადამიანების მიმართ: "ვისარგებლებ შემთხვევით და დღევანდელ დღეს ჩვენი შვილების საბავშვო ბაღის დამთავრებას მივულოცავ ბავშვებს, მათ მშობლებს, საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას, განსაკუთრებით – აღმზრდელ მაკა ჯანელიძეს, თანაშემწეებს ანა ჯულაყიძეს და თეონა ჭანტურიას. თავის დროზე ამ ადამიანებს ჩვენ ყველაზე დიდი საგანძური, შვილები ჩავაბარეთ და ვენდეთ. მათ იმედები ბოლომდე გაგვიმართლეს. დღეს ცოდნითა და სხვადასხვა კარგი უნარებით დაჯილდოებული შვილები უკან დაგვიბრუნეს. მადლობა მათ ყველაფერ ამისათვის."

ნინო ნანიტაშვილი



**ვულოცავთ ქალბატონ ზოია ვაშაკიძეს!**

"ო, ნეტავ, ქარი ასე ძლიერ რად მწვავს, რად მარხევს,
ან, ნეტავ, ქარში რატომ უჭირს უფრო მაღლა ხეს".

გულიდან ამოთქმული ეს სტრიქონები ჩვენს თანამემამულე, დიდებულ და საამაყო პოეტს, ქალბატონ ზოია ვაშაკიძეს ეკუთვნის.

დიახ, დიახ, არ არის ქალბატონი ზოიას განვლილი გზა ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ თავის მამულზე ფიქრით დამაშვრალი ყოველთვის ღიმილსა და ხითხოს აფრქვევს და მზიანი სიყვარულით სავსე ლექსებით გვყვება.

2 ივლისი საქართველოს მწერალთა კავშირის, ანა კალანდაძისა და მაყვალა მრევლიშვილის პრემიების ლაურეატის, ფრიად კეთილშობილის, ღირსეულ-ღვთიანის, არაჩვეულებრივი მეუღლის, დედისა და ბებიის დაბადების დღეა.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ ამ დიდ დღეს. მზე, ღიმილი და შემოქმედებითი წვა იყოს მუდმივი სავალი გზისა, "რომ წამით მაინც ულმობელმა ბედმა დამინდოს და სიყვარულმა გადაღლილი გული გამითბოს".

**ნათელა ბოლუთაშვილი, მაყვალა ჩირგაძე, ნინო ნანიტაშვილი, ქეთევან ბელიძე**

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია გულითადად ულოცავს თანამემამულე პოეტს, ქალბატონ ზოია ვაშაკიძეს დაბადების დღეს. ლამაზი სიტყვა არ დაგელეოდეთ, ბედნიერება გმეგზურობდეთ, ქალბატონო ზოია!

**ზოია ვაშაკიძეს!**

საამოდ შემომესმა სით მქროლავი ქარიდან
შენისა ლექსის ძალით, ცაშ თაღსი გადაიხადა.
სამშობლოს დარდით მაშვრალი, გათენდი ფიქრით მამულზე,
სულსა იბრუნებ ნაწვალებს, ბაღანზე, პირდაპირ ამულზე.
ქართული სიტყვის მეხოტბევ, ანბანი ქართულ სისხლისა,
მამაპაპურის ადათის მქებნელო მისხალ-მისხლისა,
ამონაზარდო ვაზიდან, თმენით, კდემით და ტკივილით
მინდორში მომობნეულო, ლექსებად ჟღერ-ხმიანით.
შენი ოცნების მამული ამოთქმნდება შვებითა,
აგუგუნდება ვამეჟ ქართულის დიდებუნებითა.

**მაყვალა ჩირგაძე**

**პოეტ ზოია ვაშაკიძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

**საზოგადოება "სამტრედიელი"**

**ზოია ვაშაკიძის პოეზიის მოყვარულებს ვთავაზობთ პოეტის რამდენიმე საბავშვო ლექსს**

...
ჩამოთოვლილი...
ჩამობარდნილი...
ჩამოსანჩქრებული...
ჩემი ტკბილი მამული და
ჩემი ტკბილი დედული.
ველმ-ბაღი სათცნები,
ლეთაებრივ ლამაზია.
აქ ჩემი ენძელები და
ჩემი უსურვაზია...
საალერსოდ მთის ნიავი
მოსდევს მზეს, ცის დედოფალს
და სინათლის სხივმანტელი
ეფინება ეზო-კარს...
ჩამობარდნილი...
ჩამოთოვლილი...
ჩამოსანჩქრებული...
ჩემი ტკბილი მამული და
ჩემი ტკბილი დედული.
მსგავსი ცა და მსგავსი მიწა,
სხვაგან არსად მეგულება.
ჩემი ქვეყნის სიყვარულით
დავალ ამღერებული.

**ნაზამთრო**

სამშობლო მაქვს ლამაზი
მიწა ვარდის და ვაზის...
ამ ცის, ამ მზის, ამ ბაღის
სიყვარულში რა დამლევის.
შევხარი განთიადებს,
მშობლიურ მთებს, ზვიადებს.
ცა მაქვს მზის და მტრედების...
არ მსურს მე სხვა ედემი.
შენს დამაკლებს მზე განა?!
ზეცისა ფერითა
მოვკარი ჩემი ქვეყანა,
სიცოცხლეზე მეტად!

**ჩემი "ვეფხისტყაოსანი"**

ხელისგულზე სატარები,
შენახსხი გულის შიგნით,
ჩემი "ვეფხისტყაოსანი",
ჩემი საამაყო წიგნი.
სიყვარულის ტკბილი ჰიმნი,
მწყარო – ია და სოსანი,
გმირობის და ძმობის წიგნი,
ჩემი "ვეფხისტყაოსანი".
სიმაღლე და სიღრმეც,
სხივთა მწკრივი... ელვა სიბრძნის,
ჩემი "ვეფხისტყაოსანი",
ჩემი საყვარელი წიგნი.
გადაურჩა ათას გრიგალს,
ვერ წარსტაცეს მაინც ხიბლი,
ჩემი "ვეფხისტყაოსანი",
ერთგულების დიდი წიგნი.
საქართველოს უკვდავება,
მარადისი განძი დიდი,
ჩემი "ვეფხისტყაოსანი",
ჩემი საამაყო წიგნი.

**მივიჩქარი სადგურში**

მიიწურა ზამთარი,
თოვლი უკვე გადნა...
გასაოცრად მომინდა
ჩემი სოფლის ნახვა.
დობისძირში იგბის
სუნთქვა მინდა ვისმინო,
ჩემი ტყეო, ქორორა,
თეთრწვერება წინწყლო.
როგორ მომენატრებიხართ,
დაგეძებდით სიზმრებში.
მინდა დავტკბე თქვენი ცით,
თქვენი თბილი მზის ეშხით.
სიხარულის სინათლე
ჩადგა ხელში... და გულში,
ბილეთის ასაღებად
მივიჩქარი სადგურში.

***

დაგდუგ... დაგდუგ... დაგდუგით
მიქრის მატარებელი...
სარკმელს მთვარე აწყდება
სავსე მთვარე – ბებერი.
ეზიდარ სურიოზულად,
მე ხომ უკვე დიდი ვარ.
მე და მთვარე სოფელში
ჩემს ბებიასთან მივდივართ.
ჩქარა მატარებელო,
დაგდუგ... დაგდუგ... დაგდუგით...
– აჰა, უკვე გამოჩნდა
ბებოს სოფლის სადგური.

**ჩემს საყვარელ სოფელში**

ო, რამდენი სიხარული
მიძღვნა ჩემმა სოფელმა,
სიმღერებით დამატკბეს
ცოცქნა ჭრიჭინობელებმა.
დილაობით ჩვენს ბაღში
შაშვი ტკბილად გალობდა...
მზე მთებიდან მორბოდა,
ჩემსკენ მოეხაროდა.
საღამო ხანს ეზოში
უხვად ცვრიდა ცა ფერებს...
მწვანე ბალახ-ბულახში
ვდევდი ციცინათელებს...
მერე ძილისპირული –
ბებოს ტკბილი ლოცვები...
სასთუმალთან ყოველდამ
მესხდნენ ანგელოზები...
წასულ დღეთა სიხარულს
თქვენ გიყვებით, იცით რად?
რომ საყვარელ სოფელში
წამიყვანოთ ხშირ-ხშირად.

**მერცხლის სიმღერა**

ეს მინდვრები მოხატული
იითა და ენძელით,
მომენატრა, დაეოწყება
ველარაფრით შეძელი
და გამოვყევ გულთბილ ქარებს,
სუნთქვას ტყეთა, წყაროთა,
მოვფრინავდი, სიყვარულით
თქვენკენ მომიხაროდა.
მომენატრა თქვენი ხმები...
თქვენი სიცილ-ხარხარი,
მომენატრა საქართველო,
გაზაფხულით ახალით.
ჰა, მოვფრინდი, თქვენთან ერთად
მინდა დამის გათევა,
თქვენი ბანის მერცხალი ვარ,
თქვენი კულმაკრატელა.

**მერცხლის თქმული**

იქ ვამჩნევ ბუდეს სადაც
ცხოვრობს გამრჯე გოგო-ბიჭი,
იმ სახლს ვსტუმრობ, სადაც ზეობს
სწავლის და შენების ნიჭი.
ეზიდარ ახლა მავთულზე და
თქვენს საქმეებს მზეს ვუყვები...
თქვენს ეროზე მსურს დავჩნდე,
პაწაწინა მერცხლუკები.
ჯერ კი მიწას ვეზიდები,
ბუდეს ნერწყვით ვაწებებ...
შემომხედეთ, ოჯახს, ჯალაბს
ჩემს გულს სანდოდ როგორ ვუნდებ...
მსურს, თქვენ შრომას შეუყაროთ,
ბერქვათ გამრჯე გოგო-ბიჭო...
ღმერთმა მოგცეთ სიყვარულის,
სწავლის და შენების ნიჭი!

**მაისის დილა**

ბაღში ვარდის ფურცლობაა...
წითლად ლივლივს აისი...
შუქი დაჰფის გულაძეე და
გულის ფეთქვის ხმა ისმის...



ნიავს მივაყურადე და...
წყაროს მივაყურადე და...
ჩიტებს მივაყურადე და...
ყველამ მითხრა თავისი...
ჩემი ჭიამაიამ
ხელისგულზე დავიხვი...
ღიმილს მზის და ღიმილს მთვარის
თბილ სხივებად ცა ისვრის...
დედე მღერის, ბაღი მღერის...
გული ტკბება ხალისით.
როგორ შვენის ჩემს ტკბილ მამულს
ტურფა დილა მაისის...

**დედუნი**

ჩემო დედა, დედუნი,
გენაცვალე მზეგულში.
ვდარდობ... ჩემი ცელქობით
გაგაბრაზე მე გუშინ.
რა ვქნა, ფიქრებს... და ხელებს
ეშმაკობას ვერ ვუშლი.
მინდა მალე ჩავება
სწავლის, გარჯის ფერხულში,
რომ შენ გულით ხარობდე
დროში, განახლებულში.
გუშინდელი ცელქობა
მაპატიე დედუნი!

**სიახლეთა ძიებაში**

ფისომ თავის კნუტები
მაგიდასთან დასხა,
– მომეხმარეთ, უნდა შევძლოთ
მაღაზიის გახსნა.
ხვედ წავაწყოთ – "სუპერმარკეტს"
გავახალებთ ბიზნესს,
რძეს და მაწონს შემოვიტანთ,
ავისრულებთ მიზნებს.
თაგუნებიც მოვიწვიოთ, არ შევახოთ თათი,
იქნებ მათგან ავირჩიოთ
ერთი კონსულტანტი.
მყიდველს თუ დავეწყებთ,
არ ვიქნებით სწორი,
იქნებ მათში მოვძებნოთ
კარგი ინვესტორი.
უცებ, ცოცქნა ფისომ ფისოს
ჩასჩურჩულა ყურში:
– ნეტავ, როგორი იქნება
ძეხვის ყუთი ჩვენს ბალანსში? 

**ჩვენი დიდი ოჯახი**

გუშინ ბურთი მომიტანა,
დღეს მანქანა ამიწყო,
გენაცვალე ჩემოვის მზრუნველს,
ჩემს საყვარელ მამიკოს.
ვეცდები, რომ გავახარო,
მინდა მარად მხნედ იყოს.
ჩვენი ასე ტკბილად ყოფნა
უხარია დედიკოს.
ახლა ბებოს არ იკითხავთ?
მის მხიარულ მოძახილს,
ლექსს მასწავლის, მიყვება ზღაპარს,
სიხარულში დრო გადის.
– პოდა, ასე ტკბილად ცხოვრობს
ჩვენი დიდი ოჯახი.

**უკვე დიდი ბიჭი ვარ**

არვინ მითხრას – პატარა ხარ,
თორემ გავებუტები.
ხედავთ? უკვე ოთახებში
დავალ ბებოს ჩუსტებით.
რა ხანია მამიკოსთან
ძმაკაცურად ვსაუბრობ.
უკვე აღარ ვარჩევ საჭმელს,
საბავშვოს და სადიდოს.
ჯერ სკოლაში არ დავდივარ,
მაგრამ სწავლის ნიჭი მაქვს.
ვიმახსოვრებ ლექსებს, ზღაპრებს,
უკვე დიდი ბიჭი ვარ!

**მენატრება სოფლის მზეო**

მაქვს ზმანება ჩემს ეზოში,
სახლთან ცოტა მოშორებით,
ცვრიან მოლზე, სადაც ჩრდილში
სხდნენ ჩვენი ბორცლები.
ყვავილების ბაღში სით,
უცხო ხმაზე ბავშვურს მღერის...
დილით ადრე ბებო ჩემი
ხეზე მიმდულ ძროხას წველის.
ფისოს თბილი რძის ლოდინში,
უხვდლდება ბაგე ნერწყვით,
წნელის ღობეზე შემხტარა
ჩვენებური გოგრის ლერწი.
ფიქრში ხვედა გაერია,
მენატრება, სოფლის მზეო,
ბიჭობის ეროდი მესახის...
მიდი ჩემთან, დამჯერეთ!

ჭადრაკი

## ბეჟან ჩხაიძის სახელობის ტურნირზე

ლევან ბაბუხაძე





ცნობილი მოჭადრაკის, ნაადრევად გარდაცვლილი ღირსეული სამტრედიელის, ბეჟან ჩხაიძის, ხსოვნისადმი მიძღვნილ ჩემპიონატს უმასპინძლა ამ დღეებში სამტრედიამ ჭადრაკში, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი დავით ზახრაძე, მოადგილე გიორგი მეიშვილი, კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, საკრებულოს წევრი, კობა ძიძიგური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ერთმანეთს სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების მოჭადრაკეები დაუპირისპირდნენ.

პირველი ადგილის მფლობელი სიმონ ხაჯალია გახდა, მეორე ადგილს გიგი გოცაძე დაეუფლა,მესამეს კი – ბესარიონ ლეჟავა დასჯერდა. ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილეს, მარიამ ბულთაძეს ჯილდო ბეჟან ჩხაიძის ოჯახის წევრებმა გადასცეს და კმაყოფილება გამოთქვეს ტურნირის ორგანიზატორთა მისამართით. გამარჯვებულებს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ჩვენთან საუბარში ჭადრაკში ეროვნულმა ოსტატმა, ბატონმა მერაბ არსენიძემ თბილი სიტყვები არ დაიშურა ბატონი ბეჟან ჩხაიძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით და სინანული გამოთქვა, რომ იგი ნაადრევად დააკლდა საყვარელ ოჯახს, საზოგადოებას.

“მივესალმები დღევანდელი ტურნირის მონაწილეებს. მუნიციპალიტეტის მერია მომავალშიც შეუწყობს ხელს მსგავსი ტურნირების ჩატარებას, რათა კიდევ მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს სპორტში. წარმატებებს გისურვებთ”. – მიმართა შეკრებილთ მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა დავით ზახრაძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა,ჭადრაკის ფედერაციის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა კობა ძიძიგურმა მუნიციპალიტეტის მერს მადლობა უთხრა სამტრედიელი მოჭადრაკეების მხარდაჭერისათვის.

## გიორგი წიქვაძე საქართველოს ჩემპიონია

“ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის” საკლუბო ჩემპიონატმა ჭაბუკთა შორის ჭიდაობა ძიუდოში გამარჯვებული გამოავლინა. ორთაბრძოლები ქალაქ თბილისში, ძიუდოს აკადემიაში გაიმართა. შეჯიბრის წინ შესარჩევი ეტაპი უძღოდა და მასში საქართველოს 66 კლუბი ღებულობდა მონაწილეობას. პირველი ტურის შემდეგ უძლიერესი 12 კლუბი შეირჩა. მათ შორის იყო იმერეთის კლუბი “ბაგრატი”, რომლის შემადგენლობაში 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კლუბ “ფალავანის” აღზრდილი (დირექტორი ვეფხია სტურუა) გიორგი წიქვაძე. დასკვნით ეტაპზე ასპარეზობისას კლუბმა “ბაგრატი” შესანიშნავი ორთაბრძოლები აჩვენა, დაამარცხა თბილისის კლუბი და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.



“აღსანიშნავია, რომ გიორგი წიქვაძემ აბსოლუტური გამარჯვება აჩვენა, რამაც განაპირობა კლუბ “ბაგრატის” ჩემპიონობა. აღნიშნული ჩემპიონატის სიძლიერეს მოწმობს,რომ ის ლეგენდარული ქართველი ძიუდოისტის, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის, ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობისაა, მისი საპრიზო ფონდი შეადგენდა 150 000 ლარს. გამარჯვებულ გუნდს, “ბაგრატს” გადაეცა 50 000 ლარი.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ იმერეთის გუნდს, განსაკუთრებით გიორგი წიქვაძეს, მის მშობლებს, საქართველოს ჩემპიონის ტიტულს. ცალკე თემად მინდა, გამოვყო ის გარემოება, რომ გიორგის ჩემთან ერთად წვრთნის და მის გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა მწვრთნელს, ბესარიონ შეანგირაძეს. მასაც ვულოცავ “ბაგრატის” საქართველოს ჩემპიონობას”. – გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ჭიდაობა ძიუდოში ავთანდილ თარგამაძემ.

ნინო ნანიტაშვილი



## ფრენბურთში სამტრედიის ახალგაზრდული ნაკრები პირველი ტურის გამარჯვებულია

2007-2008 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის ფრენბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტური, რომელიც სამი დღის განმავლობაში ქალაქ ბათუმში მიმდინარეობდა, სამტრედიელ ფრენბურთელთა გამარჯვებით დასრულდა. ახალგაზრდულმა ნაკრებმა ზედიზედ დაამარცხა ცაგერის, ბათუმის და თეთრიწყაროს გუნდები.

“მეორე ტური ქალაქ თბილისში ჩატარდება, რომელიც უკვე საქართველოს ჩემპიონს გამოავლენს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს. ბიჭებმა საოცრად კარგი თამაში აჩვენეს. ცოტნე როსახიძე, გიგი ბაღდავაძე, ირაკლი ბერათელი, ჯაბა კვანტალიანი, ირაკლი გურაძე, გიგი ბოხუა, დავით აბრამიშვილი, თამაზ ახობაძე, რიჩარდ მექვაბიშვილი, ნიკოლოზ სეხიაშვილი, ესენი ის ახალგაზრდები არიან, რომლებმაც სამი დღე ბათუმში სამტრედიის გამარჯვების დროშა ააფრიალეს”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განუცხადა ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, მანანა ტყეშელაშვილმა.

ნინო ნანიტაშვილი



### ერთა ლიგა

### სამი მოგება, ერთი ფრე

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, მთავარი მწვრთნელის, ფრანგი სპეციალისტის, ვილი სანიოლის ხელმძღვანელობით ივნისში,უეფას ერთა ლიგის 2021-2022 წლების სეზონის გათამაშების 4 შეხვედრა ჩაატარა ფეხბურთში.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს: 2 ივნისი – საქართველო-გიბრალტარი – 4:0; 5 ივნისი – ბულგარეთი-საქართველო – 2:5; 9 ივნისი – ჩრდილოეთ მაკედონია-საქართველო – 0:3; 12 ივნისი – საქართველო-ბულგარეთი – 0:0.

საქართველოს საფეხბურთო ეროვნული გუნდი რიგით მე-5 ტურის შეხვედრას 23 სექტემბერს ჩაატარებს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის “დინამო არენაზე” ჩრდილოეთ მაკედონიასთან.

### ტესტ-მატჩების წინ

საქართველოს ეროვნული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი) 2022 წლის ივლისში გამართავს 3 ტესტ-მატჩს რაგბში. გთავაზობთ განრიგს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდის მონაწილეობით:

3 ივლისი, ქუთაისი, საქართველო-არგენტინა;
10 ივლისი, ბათუმი, საქართველო-იტალია;
16 ივლისი, ქუთაისი, საქართველო-პორტუგალია.

### ზინედინ ზიდანს ყატარში ძეგლს დაუდგამენ

მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე, რომელიც 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება ყატარში,მსოფლიოს ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას, ლეგენდარულ ფრანგ ფეხბურთელსა და მწვრთნელს, ზინედინ ზიდანს ყატარში ძეგლს დაუდგამენ.

### უკრაინასთან და ესპანეთთან შეხვედრების წინ

საქართველოს ეროვნული ნაკრები მთავარი მწვრთნელის, ბერძენი სპეციალისტის, ილიას ზუროსის, ხელმძღვანელობით მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეხუთე და მეექვსე ტურის შეხვედრებს შესაბამისად გამართავს კალათბურთში 1 ივლისს ლატვიაში უკრაინასთან და 4 ივლისს თბილისში ესპანეთთან.

იორამ ნიკოლეიშვილი

# ვულოცავთ!

## ბატონ ნუგზარ მიქაძეს!

მაღლს მაღლს უმატებდი, დიდსა თუ მცირე საქმეში სულსა და გულს დებდი და აღიარებაც მოვიდა.

იუბილარი ხარ ამ დღეებში. 75 წელი ჩამოიმარცვლა შენი ცხოვრების კრიალოსანზე, არ მიწყენ, იქნებ, შენობით რომ მოგმართავ, თვით უფალსაც ხომ ასე მიმართავენ.

სახელოვანი მშობლების შვილმა ბრწყინვალედ შეძელი მამის დაწყებული საქმის გაგრძელება, ხორცშესხმა...

"ის ურჩევნია მამულსაო..." ეს ბრძნული ნათქვამი ცხადად აქციე ჩემი დეპწლით გაუქმებას, "საკეთილე" არ დაანებე დიდი ჯიხაიშის უცნობილესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, დროისა და ეპოქის დარად პერსპექტ იცვალა სასწავლებელმა ტიტული. ასე მოიყვანე თანამოაზრეებთან, თანამებრძოლებთან ერთად სასწავლებელი კიდევ ერთ ახალ დაბადებამდე...

შენი იმ განუზომელი ღვაწლისა და გარჯის თაობაზეც უნდა ვთქვა, რისი წყალობითაც დიდ ჯიხაიშში (და არა მარტო) რომ ფრენს ბურთი. შენმა გაწვრთნილმა ფრენბურთელმა გოგონებმა ხომ ააღაპარაკა საქართველო, ევროპელებს ისე ხვდები, თითქოს აქაოდა, არაფერი იყოს ამ საქმეში შენი წვლილი. ასეთი თავმდაბლობა უფრო გამაღლებს, გადიდებს...

სხვა თემაა ჩვენი მრავალწლიანი თბილი ურთიერთობა.

ბედნიერი კაცი ხარ, სხვისა სიყვარული, სხვათა დაფასება რომ შეგიძლია. კიდევ უფრო ბედნიერი, რამეთუ ძნელად მოსაძებნია შენზე და შენით განაწყენებულნი.

დღეგრძელობას, მხნეგრძელობას, კვალავ წარმატებებს გისურვებ უსაყვარლეს ოჯახთან, ახლობლებთან, მეგობრებთან ერთად.

უფალი გმფარველობდეს.

პატივისცემით ლევან ბაბეჩავა



# "ნაფიქრალი ერთ წიგნად"

ბატონ გია ბოჭორიშვილის, როგორც შემოქმედის ახალი პროზაული გამოცემა "ცხოვრების გზა, კაცის ნიშან-სვეტი" (რედაქტორი ლევან ბაბეჩავა), ამართლებს ნანაფიქრს და მკითხველს მის მიერ განვლილი ცხოვრების გზას, როგორც კაცის ნიშან-სვეტს, კრედოს, რომელიც მორალურ პრინციპებზეა დაფუძნებული.

ბატონი გია უკვე მეორე, ახალი წიგნის ავტორია, რომელიც მკითხველს ამ დღეებში მიეწოდება. იგი სრულიად მოიცავს მის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებსა და ბიოგრაფიებს, ღირსეულ მამულიშვილთა შესახებ. წიგნი ორ ნაწილადაა წარმოდგენილი და როგორც ავტორი აღნიშნავს, სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის დაინტერესებულ მკითხველს. საყურადღებოა აკადემიკოს ანესა მერაბიშვილის წერილის ("საქართველოს რესპუბლიკა", 25 მარტი. 2022 წელი) "როგორ გვმართებს "ვეფხისტყაოსნის" ავტორის მოხსენიება" არსი, სადაც ეპითეტი პოეტის ბიოგრაფიული ცნობები საფუძვლიანადაა გაანალიზებული. ასევე საინტერესოა წიგნის ავტორის წერილები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს საქართველოს ხვალინდელ დღეზე ფიქრს და ქვეყანაში არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზებზე გულდიად გამოთქმულ მოსაზრებებს.




ბატონი გია ჭეშმარიტი მამულიშვილია. ამის საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილისადმი გაგზავნილი წერილიც დაადასტურებს. მას აინტერესებს მთავრობის ხედვა, რა ადგილს დაიკავებს სამტრედია ჩვენი ქვეყნის განვითარების სამომავლო, სტრატეგიულ გეგმაში.

ასევე საყურადღებოა საქართველოს პრეზიდენტის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილისადმი გაგზავნილი საახალწლო მილოცვა, რომელიც გაჯერებულია საუკეთესო სურვილებით. ამასთან ერთად პრეზიდენტს სთავაზობს თავის წინადადებებს და მოსაზრებებს, აწუხებს დაუძლეველი პრობლემები, დაპირისპირების ნიადაგი, სიძულვილის ენა, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს თვითმყოფადობას და ყურადღებას მიამყრობს ვითარების სასიკეთოდ შეცვლაზე.

"ცხოვრების გზა, კაცის ნიშან-სვეტი გაჯერებულია ეროვნული სულისკვეთებით და სწორად გააზრების, ხვალინდელ დღეზე დაფიქრების, განსჯის საშუალებას იძლევა.

საოცარია, ოჯახში ბატონ გიას სტუმრობის დროს არ უთქვამს, რომ წიგნში შეტანილია ჩემი მოკრძალებული ნოველა "უღელი" და ლექსი "ჩემი ძველი სამტრედია". განუზომელია ჩემი მადლიერება.

დიდი მადლობა ბატონო გია ასეთი ყურადღებისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ. დამილოცნია თქვენი შემოქმედებითი გზა და ღირსეული ოჯახი, შთამომავლობა, ჩვენი სამტრედე ქალაქი, რომელიც უსაზღვროდ გიყვარს და უყვარხარ, ესაა სწორედ ჩვენი ცხოვრების მთავარი არსი.

ნათელა გელეიშვილი

## კახა მხეიძე

სადღაც ფანჯრებს მიღმა ბავშვობამ ჩაიარა, მზეს შესცინებდა უდარდელი ღიმილით... ამ ღიმილში შენც იყავი კახა, ბედნიერი წლების თანაზიარი, მერხებს შერჩენილი სიყვარულივით გულწრფელი და უკვე მონატრების ტკივილად ქცეული. დაფაზე მიწერილი X+Y -ვით წაიშალა კიდევ ერთი ახალგაზრდა სიცოცხლე, კახა მხეიძე აღარა ჰყავს მეთერთმეტე მეორეს! ხვალ გათენებულ დილას უშენობა არ დაეტყობა, რადგან "მკვდრად იგი ითქმის, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია!" შენ კი ჩვენში დარჩები. შენი ერთადერთ გოგის გამოხედვაში დაგინახავთ, შენი შორენას ცრემლებით მოგეფერებით. მერე ძველი დღეების ხაძვალეს დაათოვს წლები და ისევ მონატრებად მოხვალ ბავშვობის ზმანებას შერჩენილი.

"ცერულო" აღარ გვყავს" – განწირული ზარივით რეკდა ღამის წყვდიადში. ვერ მივუსწარით, ვერ შევძელით უკვე გაჩერებულ შენს გულს მივშველებოდით. გუშინ ღიმილი იყავი კახა, დღეს ტკივილი ხარ, მოუშუშებელი, დაუვიწყარი.

ყოფილი რკინიგზის №24-ე საშუალო სკოლის 1992 წლის მეთერთმეტე მეორეს კახა მხეიძე აღარა ჰყავს... ბავშვობაში გაფრინდა, ჩვენს უდარდელ ბავშვობაში, რომელსაც ვალერი ზამთარაძესთან და კახა ბარათელთან ერთად ცრემლად დაანდება.

შენი ნაბიჯის ხმა მოგვესმება იმიერიდან, შეხვედრამდე, მეგობარო!

თანაკლასელები



### ზაირა გრიგოლიას ხსოვნას

### მზე ჩასვლის შემდეგაც მნათობად რჩება



მალე ექვსი თვე შესრულდება, რაც თქვენი ამქვეყნიური მზე ჩაესვენა და ამობრწყინდა მარად ჩაუსვლელი მზე ხსოვნისა, თქვენი არდავიწყებისა.

დღეს უფრო ხილულია, თუ რამდენი გიკეთებიათ, ჩუმად, სუფთად, უწყინოდ... რამდენის გაკეთებას ლამობდით კვლავ.

ოდენ ფაქტი არ გახლდათ, საქართველოს დედა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რომ იყავით. თქვენთან ყოველი საუბარი ხომ უნივერსიტეტი იყო. მოვლენათა თქვენეული, სიღრმისეული, ობიექტური შეფასებებით, ღრმა ანალიზით.

ბევრს არ ვამხილებ სიტყვებს, ბოლო წუთებში ყოველგვარი ოფიციალურობისაგან დაცლილმა სახალისოდ გაითხარით – ბავშვობის დროინდელი ტკბილი ძილისპირულივით მომენატრება თქვენთან ინტელექტუალური საუბრები-თქო, ის დრო მოვიდა უკვე...

ნათელში იყავით, ჩვენო დიდო ქალბატონო, არ დავზარდებით(თ), ისე უკვდავვყოთ თქვენი სახელი, როგორც გვკადრებათ.

ლევან ბაბეჩავა

ლევან ბაბეჩავა და მურად გელენიშვილი განუსაზღვრელი მწუხარებით იუწყებიან მათი ყოფილი მოსწავლის,
**მალხაზ ოლეგის ძე ნუცუბიძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალს.

ლევან ბაბეჩავა და მურად გელენიშვილი მწუხარებას გამოთქვამენ დამსახურებული პედაგოგის, ქალბატონ
**ხუხული იუანეს ასული კაპანაძე-კობახიძის**
გარდაცვალების გამო.

## ვულოცავთ!

**ნათელა გელეიშვილს**

დღევანდელობით რომ გიცქერ,
ისევ ძველ ნათობ მეგონებ,
80 წელი რა არის,
100-საც კი გადააგორებ.

გულითა და სულით ვულოცავ ჩემს დაიკოს, ჩემს ნათელას დაბადების დღეს. ვუსურვებ, რაც საკუთრ უკეთესია ამ ქვეყნად, ყველგან და ყველაფერში წინ დახვედროდეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კარგი შთამომავლობითა და გარემოცვით დიდხანს ტკბობას და სიცოცხლეს. გერქვას სახელი დედა ტერეზა, ყოველთვის გაგემართლებინოს. რაშიც ეჭვი აბსოლუტურად არ მეპარება!

ბორის ფოცხვერაშვილი

**ნათელა გელეიშვილს!**

დეაწლმოსილ ქალბატონს პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო იუბილეს, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ, კეთილისმსურველთა გასახარად.

"საზოგადოება სამტრედიელი"




ნათია პაპავას ვულოცავთ დაბადების დღეს!




**ბატონ თამაზ ქორდანიას!**

ბატონო თამაზ, გილოცავთ დაბადების დღეს!

გისურვებთ, მრავალ დაბადების დღეს შეხვედროდეთ მშვიდობიან და გაბრწყინებულ საქართველოში თქვენს საყვარელ ხალხთან ერთად. ასევე გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თქვენი ერთგული თანამშრომლები შპს "სამედიცინო ცენტრი რკინიგზა 1872"-დან

**ბატონ თამაზ ქორდანიას**

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს! იხარეთ, იდღეგრძელეთ, უფალი გმფარველობდეთ.

"სამტრედიის მაცნე"

**ბატონ თამაზ ქორდანიას!.**

არაა ადვილი, ათეული წელი ერთსა და იმავე ორგანიზაციის თავკაცობდე და კოლექტივში, საზოგადოებაში ავტორიტეტი პირვანდელი სიბლით შეინარჩუნო. არც ის მოსულა, თავისთავად, ჩვენს პატარა ქალაქში ტოპონიმად რომ დამკვიდრდა, "ქორდანიას საავადმყოფო", "ქორდანიასთან მუშაობს". განუზომელია ამაში თქვენი, როგორც ადამიანის, ექიმის, სამტრედიელის წვლილი.

უფალმა გაგაძლიეროთ!

ლევან ბაბეჩავა

**ირაკლი კიკვაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ირაკლი, სასახელო, საამაყო ბიჭი გაიზარდე. უფალი გმეგზურობდეს!

"სამტრედიის მაცნე"



**გრიგოლიკო გელოვანს!**

ჩვენს ძალიან კარგ და საყვარელ ბიჭუნას, გრიგოლიკო გელოვანს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ უღრუბლო ბავშვობას, წარმატებულ მომავალს. ღირსეული კაცი გაზრდილიყოს სახელოვანი ოჯახის საამაყოდ და გულის გასახარად. მისი და მისი ძმიკოს ბედნიერებით ეხაროს გელოვანების დიდ ოჯახს.

მაკო ბებოსა და ბიბა ბაბუს მეგობრები






აკაკი ჭანჭალეიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს!

**მზევინარ ბოხუას!**

დაბადების დღეს გილოცავთ ყველასთვის თავდადებულ, დასაყრდენ, ერთგულ, იუმორით სავსე კეთილ მეგობარს. ნამდვილად გასაკვირია, ყველას მიმართ თქვენი მზრუნველობა, სითბო, პატივისცემა, როგორც თანამშრომლების, მეგობრების, ასევე ბენეფიციარების მიმართ. თქვენი ესოდენ შემართებით, სამართლიანობით და ობიექტურობით მუდამ ხალისიანი გვენახე. გისურვებთ წელთა სიმრავლეს, ულევ ბედნიერებას, შენს საყვარელ ძისთან.

პატივისცემით "ახალი თანადგომას" თანამშრომლები



დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ყველა სურვილის ასრულებას. წლებია გიცნობთ და ყოველ ნაბიჯზე ყოველთვე კარგს იმსახურებთ. თქვენს ძისთან ერთად იხარეთ და იბედნიერეთ. გფარავდეთ უფალი!

ნანული კიკაბიძე

**მზევინარ ბოხუას!**

ჩვენო ერთგულო მეგობარო, მოსიყვარულევ და მზრუნველო. დაბადების დღეს უდიდესი სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ. გვინდა, ძალიან დიდხანს აძლიერებდე ჩვენს ურთიერთობებს, გვიდღე ჯანმრთელად და ბედნიერად შენს ძისთან და მის წარმატებულ მომავალთან ერთად.

ნათელა გელეიშვილი, ქეთევან ჭელიძე, დარეჯან ქავთარია, ნინო ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან ბობია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა